

შინაური საქმეები

№ 24.

კვირა, 20 ივნისი, 1910 წ.

ადრისი: ძუთისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ჰეშმარიტი გზა:—მღვ. ი. ლუკი-ანოვისა; უკანასკნელი პასუხი.—დიმიტრას მამიდაშვილისა; ყოველად სამღვდლო ლეონიდეს მოგზაურობა ზემო გურიაში:—ზლ. მლ. ზ. ცინცაძისა; ენის გაჩე-

ნა:—ტ. ჯაფარიძისა; წაღმა-უკუღმა.—მოთხრობა კ. წუთისაფლელისა; კვირიდამ კვირამდე;—წერილი რატიდან,—ა. მაისურაძისა; წერილი რედაქციის მიმართ—მლ. ბ. გოლისა;

უოველკვირეულ გაზეთ
„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სასურთადა—კასაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის პაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ჰეშმარიტი გზა.

ბოლოს, თანამედროვე აზროვნების წარმომადგენელი ცხოვრების მამოძრავებელი და ხელმძღვანელი პრინციპებად აღიარებენ თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის გუმანიტარულ იდეებს. ამ იდეათა დროშის ქვეშ ამაყად და ძალოვანად მოქმედებს ეხლაც კრედი წოდებული სოციალისტური მოძრაობა. იდეები, რომელთაგანაც გამოდის სოციალიზმი, აუცილებლად მაღალი იდეებია, რომლებიც თავის თავად უნდა იწვევდნენ ყოველ ადამიანში თანაგრძნობას. გარნა, ეს პატიოსანი იდეები, რომლებიც ეხლა ყველას აღევილებენ, და რომელნიც წარმოსდგებიან საერთო სიყვარულის იდეიდან, არა სოციალიზ-

მის-მიერ არის გამოგონილი, არამედ, სოციალისტური მოძღვრების გაჩენამდე არის გამოცხადებული სახარების-მიერ, რომელიც გვამცნებს ჩვენ, გვიყვარდეს ყოველი ადამიანი ისე, როგორც ჩვენი თავი გვიყვარს (ლუკ. 10, 2-37), და არამც თუ გვიყვარდეს ჩვენი მახლობელი, არამედ ჩვენი მტრებიც, ვაკურთხევდეთ ჩვენს მწყევრებს, კეთილს უყოფდეთ ჩვენს მოძულეთ და ელოცულობდეთ მათთვის, რომელნიც გვმძღავრობენ ჩვენ და გვღვენიან ჩვენ (მათ. 5, 44-48). სოციალიზმი-კი არის უღვთო მოძღვრება, როგორც ყველა მატერიალისტური სისტემები, და მისი მიზნები არა სცილდებიან მიწიურ არსებობის იქ თ. „იგი არის შვილი ათეიზმისა და შესავალი ათეისტურ კულტურის ხანაში“,—სამართლიანად სთქვა იმაზედ ნემცების ერთ-ერთმა სოციალისტურმა ორღანომ. ხოლო მოწინავე ხელმძღვანელმა და მოთავემ ეხლანდელი სოციალისტებისა ბებელმა გერმანიის რეისტაგში სთქვა შემდეგი 31 დეკემბერს 1881 წელს: „პოლიტიკის საქმეში ჩვენ გვინდა რესპუბლიკა, ეკონომიურში—სოციალიზმი, ხოლო რელიგიოზურში—ათეიზმი ან ნიგილიზმი“. ამასთანავე, მიუხედავად სოციალიზმის ამაღლებული იდეებისა, იგი არის ანტიმორალური მოძღვრება, იმიტომ რომ სოციალისტების ყოველივე მისწრაფება და მეძიებლობა დამყარებულია ეგოისტურ ანგარიშზე და გამომდინარეობს არა სიყვარულის



წმინდა აღძვრისაგან, არამედ მტრობისაგან, შურისაგან და სიძულვილისაგან. ეგეთივე ცუდი და უბატონისა ის გზები და საშუალებანი, რომლებითაც სოციალიზმს უნდა თავის მიზანს მიადწიოს. ეს არის გზა თავზე ხელაღებული ბრძოლისა, გზა გაბოროტებისა, დანგრევისა და სისხლისა. საკმარისია გადავშალოთ რომელიმე ბროშიურა, სოციალ-დემოკრატიის ფორმიდან გამოსული, რომ დავრწმუნდეთ ამაში. აქ, ყოველ სტრიქონში გამოსჩანს ეშმაკური სიძულვილა და ბოროტება. თავმდაბლობის ნაცვლად ხალხს ურჩევენ ამპარტავნობას და უკმაყოფილებას თავის მდგომარეობით; ნაცვლად სიმშვიდესი და სიწყნარისა — შეუბოვრობას და დაუმორჩილებლობას, ნაცვლად შოწყალებისა — შეურაცხებას და უწყალობას. ამნაირათ სოციალისტები ჰფიქრობენ მიიღონ სრული ქვეყნიური კეთილდღეობა, დამყარება ქვეყნად სამოთხისა რადგანაც, იმათი სიტყვით, სხვა სამოთხე არც არის და არც შეიძლება იყვეს. მაგრამ როგორც უნდა იყოს, პირველათ ვიკითხოთ, მისახწყვეია თუ არა ის ოქროს დრო, როდესაც ქვეყანაზე სამოთხე დამყარდება? შემოთ ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ კაცს ვერ შეუძლიან ჰპოვოს ნამდვილი ბედნიერება მიწაზე, რაც უნდა კეთილდღეობით ეწყობოდეს მისი ცხოვრება, თუ მას აქვს ცხოვრობაზე მატერიალისტური შეხედულობა, და უარყოფს საჩუქრობრივ მოლოდინს საიქიო ნეტარი ცოვრებისას. მართო ერთი წარმოდგენა სიკდილისა, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, შხამავს კაცის ბედნიერებას და უგემურთ ხედის მას. აი რატომ არის ის, რომ რაზდენიც უნდა იოცნებონ სოციალისტებმა ქვეყნიურ სამოთხეზე, იგი შეუძლებელია მათთვის. მათის ურწმუნოებისა და მატერიალისტური შეხედულობის გამო ცხოვრებაზე მათი ოცნება უბრალო თავის მოტყუებაა, ნაყოფია მათის ამპარტავნობითა და ბოროტებით დაბნელებული გონებისა. შემდეგ, რა თქმა უნდა, თავისუფლობა, ძმობა, თანასწორობა დიდი სიკეთეებია, ყველა კაცისათვის სანატრელი, მაგ-

რამ შესაძლებელია სოციალიზმში განხორციელება ამ სიკეთეებისა? თავის თავად ეს სიკეთეები, თუ შეიძლება ასე თქმა, ინდივიდუალურ-სუბიექტიურები არიან, და როგორც ასეთებს, შეუძლიან დამყარდნენ მხოლოდ საჩუქრობა-ზნებრივ საფუძველზე. სოციალიზმს, ამ საფუძვლის უარყოფელს, უნდა შეჰქმნას გარეგანი სახელმწიფო, გარეგნული სოციალისტური კავშირი ძალდატანებით საშუალებებით, ცეცხლისა და მახვილის შეწვევებით. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც საზოგადოდ ევროპაში, ისე რუსეთშიაც, ხალხი მხედრდება დიდრების წინააღმდეგ უკვე ძალით. ხალხის წინამძღოლებს, სახელდობრ, სოციალიზმის მეთაურებს ხალხი ყველგან სისხლისაკენ მიჰყავს, და გაიძახიან ხმამაღლა, რომ სამართლიანია ხალხის რისხვა. ასეთ პირობაში განა შესაძლებელია ლაპარაკი თავისუფლებაზე, ძმობაზე და თანასწორობაზე? აბა რა ძმობა შეიძლება, მაგალითად სოციალისტურ სიმღერის ხმაზე: „წადი წინ ჩვენო სიმღერავ! ჩვენი დროა ფრიალებს მთელ ქვეყანაზე და უძახის ხალხს საბრძოლველად, შურის საძიებლად“... უნდა ვთქვათ, რომ ამისთანა მაწანწალა სიმღერის ხმებზე ბევრი ადამიანის სისხლი დაქცეულა. ეს სისხლის ღერა ყოველ გონებით საღ ადამიანში უნდა იწვევდეს ღრმა მწუხარებას და სიბრალულს. ღრმა შევიგნოთ, რომ არავითარი გარეგნული საშუალებებით თავისუფლების შექმნა არ შეიძლება, იმიტომ რომ ყველა ასეთი საშუალება არსებითად ძალდატანებაა, იძულებაა; ხოლო იძულება-კი პირდაპირი უარყოფაა თავისუფლებისა. უნდა გვახსოვდეს, რომ კაცს აქვს თავისუფალი ნება, აქვს ნიჭი თავისუფლად მოქმედებისა. იქნება სოციალიზმის მიმდევრებმა უარჰყონ კაცის თავისუფალი ნებაც. ამითი ისინი კიდევ მომეტებულად დაამტკიცებენ თავიანთ მოძღვრების სიგლახაკს და უთავებობას, იმიტომ რომ ფსიხოლოგიური გამოცდილება და ბუნებრივი ცნობიერება ადამიანისა გვარწმუნებენ, რომ ჩვენ გვაქვს ნიჭი თავისუფლად მოქმედებისა, ჩვენის

ნებით, ძალადაუტანებლად, შეგვიძლიან ასე თუ ისე მოვიქცეთ, და ამნაირად ჩვენი ნება თავისუფალია. გარდა ამისა, თავისთვლელად, ძმობაც და თანასწორობის გრძობაც შესაძლებელია მხოლოდ პიროვნებაში. გარეშე პიროვნებისა არ არის არც თავისუფლება, არც ძმობა. ყოველივე სახელმწიფოებრივი წყობილება, და მაშასადამე, სოციალისტური წყობილებაც, როგორც გარეგანი; იძულებითი და სავალდებულო მისი წევრებისთვის, არის შელუღვა ინდივიდუალური პირადი თავისუფლებისა; აქ ყოფა-ქცევა თვითთვისა განისაზღვრება ცნობილი კანონებით და დადგენილებებით, რომლებსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, თუნდაც ძალაუხერებოდ. მეორე მხრავ, რაც უნდა სრულა წყობილება შექმნათ, რაც უნდა მშვენიერა კანონები დააღინოთ, რომლებიც-კი უზრუნველ-პყოფდნენ საზოგადოების თავისუფალ ცხოვრებას, მაინც ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ყველას იმიტომ რომ არ შეიძლება ყველას დაკმაყოფილება. არავითარა დაწვლილებითი კანონდებითი რეგლამენტაციებით არ შეიძლება განსაზღვრა ადამიანის ყველა შესაძლებელ მოქმედებისა, ყოველთვის ზნეობრივად გაფუჭებული კაცისთვის ღია რჩება კარები, სხვისი თავისუფლების გნების მისაყენებლად. რაც უნდა კარგი წესწყობილება იყვეს შექმნილი, მაინც კიდევ გამაჩნდებიან ისეთი პირნი, რომლებიც არ დაკმაყოფილდებიან მათით და არ მოინდომებენ მათდამი დამორჩილებას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი მაშინა არ არის, არამედ თავისუფალი არსებაა, რომელსაც ძვირფასად მიაჩნია ეს ძირითადი თვისება თავის ღირსებისა. სწორეთვე გრევე შეუძლებელია შექმნა გარეგნული სპეციალურობებით და გაუმჯობესობებით სოციალურ ცხოვრებაში ხალხის თანასწორობისა და ძმობისა, იმიტომ რომ ყოველივე ეს: თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა არა სოციალურ პირობებიდან წარმოსდგებიან, არა იმას ემორჩილებიან, არამედ თვით ადამიანის პიროვნებაზე დამყარებული, კაცის სულიერ-

ზნეობრივ არსებაზეა დამოკიდებული. ამნაირათ, თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა შესაძლებელია ჰქონდეს ხალხს, გარეგნულად დაჩაგრულსა, შევიწროებულს, მაგრამ გულით და სულით ამაღლებულს.

ნამდვილი ძმობის, თავისუფლების, ბედნიერების მოცემა შეუძლიან მხოლოდ ქრისტიანობრივ სარწმუნოებას. წმინდა, ქრისტიანობრივი სიყვარული, როგორც ზნეობრივი პირადი ღვაწლი,—აი ის საფუძველი, ის კუთხის ქვა, მხოლოდ რომელზედაც შეუძლიან დამყარებულ იქნას ადამიანის ცხოვრების კეთილდღეობა ქვეყანაზე. ეს სიყვარული გამოგვიცხადა ჩვენ ქრისტემ, გვაუწყა სახარებამ, იგი ქრისტიანობრივი სარწმუნოების სასოებით საზრდოობს. მაგრამ ნამდვილი წმინდა სიყვარული არ შეიძლება წარმოგვეს იმ სისტემებიდან, რომლებიც სცდილობენ დამყარონ კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობა მხოლოდ კაცის შეზღუდულის გონების რყევად პრინციპებზე. თანამედროველიბერალური მოდური მოძღვრებების მიმდევრებს უნდათ მისწვდნენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას თავის თავად, სოციალური მეცნიერების მეოხებით, რომელიც მტრულად არის განწყობილი სარწმუნოებასთან. „მეცნიერების კვალზე, მაგრამ თვინიერ ქრისტესა, იმათ უნდათ მოაწყონ ცხოვრება სამართლიანად მარტო თავის გონებით, და უკვე აღიარეს, რომ აღარ არის დანაშაული, აღარ არის ცოდვა: იმიტომ რომ, თუ აღარა გყავს ღმერთი, მაშინ რაღა დანაშაული იქნება“ (თ. მ. დოსტოევსკი,—„ძმები კარამაზოვები“—ნ. II, გვ. 175). სადაც დანაშაული არ ითვლება დანაშაულად სადაც ცოდვა არ ითვლება ცოდვად, სადაც, ამნაირათ, ყველაფერი ნებადართულია, იქ, რაღა თქმა უნდა, სიყვარულზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, იქ აქვს ადგილი მხოლოდ პირუტყველ ინსტინქტებს. როგორც ეს ნამდვილად მტკიცდება სინამდვილით, სხეულდობრ, იმ მოძღვრებით და აგრეთვე ბოროტებისა და სიძულვილის საქმეებით, რომლებითაც გარეშე მოკლულია

სოციალისტური მოწოდებები. მართალია, ყველა თანამედროვე ურწმუნო მიძღვრებებში არის ლაპარაკი სიყვარულზე, სიკეთეზე და ადამიანის პიროვნების ღირსებაზე; მაგრამ ეს სიყვარული სრულიად განსხვავდება ქრისტიანული სიყვარულიდან. ქრისტიანული სიყვარულის საფუძვლად სძევს თავის განწირულობა, სიმდაბლე და ყველა სხვა ადამიანის თავის თავზე უფროსათ შერაცხვა. (ფილიპ. 2, 3).

(შემდეგი იქნება).

მღ. იოანე ლუკიანოვი.

უკანასკნელი ზასუხი.

ჩვენს წერილზე ქართული სპეკესიო წიგნების შესწორების შესახებ *) ეოვლად სამღვდელთა დავითმა გვიხსნის ოთხ მუხლიანი ზაწაწიან (რელიგია ბარათით **) ამ ბარათის პირველ მუხლში მისი მუუფება იძლევა ახსნას, თუ რა მიზნით და აზრით ახმარა მან მაგალითი „წაუკითხე წიგნი“. მაგრამ რაღა დროსია ასეთი განმარტება? წერილის დასტამბავადე დია ბარათით შევეკითხეთ მას ამის შესახებ და, რაც სათქმელი ჰქონდა, მამინ უნდა ეთქვა და გაეთავებინა. ესდა, როდესაც გამოქვეყნდა სრული უვარგისობა მისგან ხმარებული მაგალითისა, ეოველი ახსნა და განმარტება დაგვიანებული და მნიშვნელობა-დაკარგულია. ვინ არ იცის, რომ „ურეში რა გადაბრუნდება, გზა მამინ გამოჩნდება“? ან ვისთვის დასჭირდა მის მუუფებს გავეკითხვის წაკითხვა უნის მნიშვნელობაზე? ვინ იყო ამაზე უარის მთქმელი და მოდავე? რა აზრი აქვს იმის მტკიცებას, რაზედაც ეველანი თანახმა არიან და ეველანი დებულობენ?

მე ვამბობდი და ესდაც ვამბობ, რომ „აღუ-სრულეთში“ უნი სწორეთ იმის მჩვენებელია, რომ აქ ვედრება სხვისთვის სრულდება, მაგრამ მას წინ უძღვის ვინი და იგი ამ სხვასთან ერთად

ჩვენც გვერდში გვაყენებს, უჩვენეთ ვედრება ვერ აღსრულდება. ეოვლადსამღვდელთა არ გვეთანხმება ასეთ მსჯელობაში და ცდილობს ნათქვამი გაგვიბათილდეს: „ივანეს ზერი მოუშვათ. ჩვენ აქ ზურს ვმკითხავთ ივანესთვის და არა ჩვენთვის; აქ არა სხანს, რომ მომკიდებიან ჩვენც წილი გვერტება. მთელი ჩვენი მოქმედება-მკა მხოლოდ ივანესთვის სწარმოებს. ასე, აქ ვინი ჩვენ ნამოქმედარიდან წილს არ გვაკუთნისო“, ბძანებს ეოვლად სამღვდელთა.

უკანასკნელთა კი ვართ, მაგრამ ეოვლად სამღვდელთა ან ეურადდება არ მოუტყევიან სრულებით იმისთვის, რასაც ვამბობდით ვედრების აღსრულების შესახებ, ან რაღაცა მისაზრებით სდუმს ამაზე, რაც ხელს უწეობს საქმის ადგზლად ჩაფარცხვას. წარმოედგენელია ვედრება ადვასრულეთ ვისთვის-მე უიმიანთ, რომ ჩვენ მონაწილეობა არ მივიღეთ მამი, ჩვენს გულსა და სულს არ შეეხოს იგი, სულიერ სიკეთეს ან სსსკელს არ ვიძინდეთ ეოველი ვედრების აღსრულების დროს. თუ ჩვენი ნათქვამის გამოტყუება სურდა ეოვლად სამღვდელთა, მაგალითად უნდა აეღო სარწმუნოებრივი ხასიათის მოქმედება და არა ზურის მკა. დგთისადმი ვედრების აღსრულება და ზურის მკა შეუდარებელი აქტებია და, როგორც ნათქვამი გვექონდა, ერთი მეორეს ისე არ უდგებიან, როგორც წვალი და ზეთი.

გარდა ამისა მოეყვანილი მაგალითიც დალატობს მის მუუფებას. როდესაც ამბობენ: „ივანეს ეანა მოუშვათო“, ორში ერთსა გულისხმობენ: ან ივანე სავარია და უბედურია, რომ მას სამდღოთ უნდა მოუშვონ ეანა, ან მძიმე დანაშაულობისა და ბოროტების ჩადენის გამო სურთ მისი დარბევა, დასჯა. ეანოს ეანა მოუშვოთ, ეანოს ხარი დაუკლათ, ეორული გაუთაბოთ, ეენახი მოუკრიფოთ ტუე მოუჭრათ—ეველას ეს ითქმის როგორც გამოსახატად, რომ ეანოს სსსარგებლოთ ვამოქმედოთ, ეანოს დავეხმაროთო, აგრეთვე იმ მნიშვნელობით, რომ ეანო დავარბოთ, ხარი შეუჭამოთ, სთიეუ წაუხდინოთ, ეენახის მოსავლიდან ცარიელზე დაუსვით, ტუე გაუჩხეთო. რის მჩვენებელიცაა აქ ვინი, მკითხველმა ბძანოს.

სულ ტუეილ უბრლოთ გასულია მისი მუუფება შესამე მუხლში წმ. იოანე აქროზიანის სიტყვების მოეყვანით: მე არსად და არასოდეს წუნა

*) ზინ. საქ. № 20.

***) ზინ. საქ. № 21.

არ დამიღვია იოანე ბერძნის ნაწერებისთვის და არც იმდენათ თავხედი ვარ, რომ ასეთი რამ გაგებდო; უღახათოდ ნათქვამი უწოდე სიტყვებისა და ფრაზების ამოგლეჯას კონტექსტიდან და სხვის ნათქვამის ზღაპარულად შემოკლება-შეკვეცას. საღვთისმეტყველო აზრების განმარტება შიშობა არ არის, რომ მოშიარესავით გძელი სიტყვა შევა-მოკლოთ და ერთი გოჯის სიგძე კანსპექტურ ბაკათში სასურველი სისწორით შევლაფერო გამოე-თქვათ.

ქვე არა გვქონია, რომ ეპისკოპოსმა დავითმა ჩინებულათ იცის სახელმძღვანელოებისა და ლექსი-კონების სახელება, რადგანაც იგი კარგა ხანი იდგა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების სა-თავეში, მაგრამ მანაც უმჯობესა იქნებოდა თავი-სით ეთქვა რამე საქამათო საგნის შესახებ და არ დაეპოფოფებულყო ლექსიკონებზე მითითებით, ვინაიდან ჩვენც სავით ვღეჭეთ ეს სახელმძღვა-ნელოები და მადლითა ღვთისათა ჯერ დაფიქვე-ცული არა გვაქვს მათი არსებობა ქვეყანაზე.

„შინაური საქმიანი“-ს ამ წლის მეორე ნომერ-ში მოთავსებულს ჩემს წერილს გული უტკენია მისი შეუფერბისთვის და ვერ გამოგია, რის გამო, რა მიზეზით. აფუ. ქინქლა-კოდები რომ ვისიმე დასამცირებლათ გვეხმარა, პასუხს გავგვემდა ის პატივცემული და განათლებული პირი, რომელსაც ვებასებოდით ნახევრები წერილით. მისი შეუფერბა აკეუხათ დასდგომია ისეთ პირს, რომელსაც აღარ ახსავს, როდას გაცვითა პატარაობის პერანგი და უნჯობისა არ იქნებოდა, რომ მართლა მცირე წლავა-ნათვის გადეთარებინა მადლიანი სამღვდელთმთავრო მანტიის კადთა.

ეპიტეტები, რომლებითაც ყოვლადსამღვდლო დავითა მამობს მე და ჩემ ნაწერებს „იქით-აქით ნათქვამი“ „განტყულებული რისხვითი მსჯავრი“, „გაწეულ-გამოწეული“ და სხვა ამგვარები საქმეს არ შეეხებთან და კითხვას არ არგვევენ, აღბათ მათ შიშობათა შეუფერბ ხოლოთ გულის მოსაფხანათ.

ბოდაში ვიხდით მისი შეუფერბის წინაშე, თუ ჩვენდა უნებურად და გაუკებრად წამოგვეცდა რამე ნაწერებში მისი გასახელებული და სიტყვას ვაძლეეთ, რომ დღეიდან რაც უნდა დაწეროს იაღვე სრულით“-ის შესახებ, პირში წაუღს ჩავიუენებთ

და კრისტს აღარ დავძრავთ, რადგანაც დაწერწუნ-დით, რომ ყოვლადსამღვდელთს ტაქტიკად ჭქონია მიღებული მოწინააღმდეგის ნათქვამს არასოდეს არ შეეხოს არსებითად, მოვეყნილ საბუთებს გვერდი აუქციოს და, რაც უნდა იქნეს, მუდამ თავისი ამკობინოს.

ლიმიტრას მამიდაშვილი.

ყოვლადსამღვდლო ლეონიდის მოგზა-ურობა ზემო გურიაში.

17 თუ 18 მაისიდან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ყოვლადსამღვდლო ლეონიდემ კვლავ განახლა თავისი მოგზაურობა გურიაში და რევიზია აღმოსავლეთ გურიის ეკკლესიებ-სა, რომელიც აპრილის შვა რიცხვებში შეწყვეტილ იქნა დღესასწაულების გამო. მან მოიარა ლანჩხუთის საბლალოჩინო ოლქა, აკეთის, ხ დისთავის და ნაწილი ერკეთის-ოლ-ქისა, ეს პარველი მოგზაურობაა მღვდელ-მთავრის გურიაში განსვენებულ ყოვლადსამ-ღვდლო აღექსანდრე ეპისკოპოსის შემდეგ, რომელმაც უკანასკნელათ დაიარა თავისი სამწყსო 1899 წელში. კარკათ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მღვდელმთავრის მო-გზავრობას თავის სამწყსოში საზოგადოდ, ხო-ლო ამ უკანასკნელ წლებში კი, როდესაც ახალმა მოძრობამ საშინლად შეარყია სარწმუ-ნოება საზოგადოთ მთელ საქართველოში და კერძოთ გურიაში, ასეთი მოგზაურობა იცხო-ქრ სტეს მოადგილისა თავის სამწყსოში აუცი-ლებელი საქაროც იყო. უკანასკნელმა მოძ-რაობამ, როგორც ვიცით, სამღვდლოების პრესტიჟი საშინლად აღამკირა და მით დაუკარგა მის ყოველივე ნდობა ხალხის თვალში. სარწმუ-ნოების და მორწმუნე აღამიანის დაცინვა საზო-გადოთ სენათ გარდიქცა. სამღვდლოება მცურე გამონაკლისის გარდა სდუმდა; მშველუ-ალარავინ იყო. -იი სწორედ, ასეთ დროს იყო საქირო ხმა ეკკლესიისა, ხმა ეკკლესიის თავი-

სა, რომელიც ქრისტიანული იდეებით გამს-
 კვალული, თეორიული ცოდნით აღჭურვი-
 ლი-შეიარაღებული უნდა გამოსულიყო თავის
 სამწყსოში და გამოცოცხლებული ქადაგებით
 გამოესხნა ხალხი იმ განსაცდელისაგან, რომე-
 ლიც მათ სარწმუნოების დაკარგვით მოელო-
 დათ. დიახ ამ უკანასკნელ წლებში იყო სა-
 ქირო ასეთი საქმიანობა ეკლესიის წარმომ-
 დგენლებისა, მაგრამ ნამდვილად, როგორც
 ვსთქვით, ხმა აღარსაიდგან ისმოდა. თითქო
 ყველაფერი გაჰქრა. მორწმუნე ადამიანი თავის
 გულში ფიქრობდა: ნუ თუ მართლა ქრისტი-
 ანობას გულშემატკივარი აღარავინ ყავს? ნუ
 თუ მართლაც აღარ არის „მწყემსი კეთილი,
 რომელმაც სული თვისი დასდოს ცხოვართა-
 თვისი“? უნებლიეთ მაგონდებოდა სიტყვა სახა-
 რებისა: „ხოლო სასყიდლით დადგინებულმან,
 და რომელი არა არს მწყემსი, რომლისა არა
 არიედ ცხოვარნი თვისნი, იხილის რომელი
 მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტილ:
 და მგელმან წარიტაცნის იგონი, და განამანი-
 ნის ცხოვარნი“ (სახარ. იოანესი თავი 10
 გუხლი 12). და აი დღეს მორწმუნე ადამიანი
 პირველად ხედავს იმ მწყემსს, რომელსაც რამო-
 დენიმე წლის წინათ ისე ნატრულობდა. ყოვ-
 ლადსამდვილო ლეონიდის მოგზაურობას
 უმეტეს ნაწილად მისსიონერული ხასიათს
 ჰქონდა: ყველა ეკლესიები, რომლებიც კი
 მან დაათვალიერა ხალხით იყო სავსე რომლებ-
 საც ყოვლადსამდვილო შესაფერი ქადაგებით
 მიმართავდა ხოლმე. არა ერთხელ მოვკარი
 ყური ეკლესიიდან დაბრუნების შემდეგ სახლში
 მიმავალ გლეხების ლაპარაკს ერთი მეორეში;
 აი ქაო, თუ შეუძლიათ მოწინააღმდეგეთ
 ამას გასცენ პასუხი თორემ ჩვენისანა უვი-
 ცებს ყველა მოატყუებსო“. ყოვლადსამდვი-
 ლომ ინახულა სამხრეთით მდებარე განაპირა
 სოფლები: ნაბელლაფი და ქვაბლა, სადაც მართ-
 მადიდებელთან მეზობლად სახლობენ გაჰმა-
 დიანებული გურულები; ჰქონდა მათთან საუ-
 ბარი საზოგადოთ სწავლაზე; ინახულა ახალი
 გახსნილი სკოლა სოფელ ქვ.ბლაშივე, რომელ-
 შიდაც არა ერთი და ორი მუსულმანთა ბავ-

შეები სწავლობენ და აღუთქვა მას შემდგომ-
 ლობის აღძვრა, რომ ეს სკოლა მიღებულ
 იქმნას კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ
 საზოგადოებას მფარველობის ქვეშ შესაფერი
 ჯამაგირით; ამავე სოფლიდან ყოვლად-სამ-
 დვილომ მოიწადინა ენახა გურიაში კარგად
 ცნობილი სააგარაკო ადგილი სახელდობს
 „ბახმარო“ ადგილი ძლიერ მოსწონდა და
 ქონდა მოლაპარაკება ეკლესიის და საარქიელო
 სახლის აგების შესახებ. 7 ივნისიდან ყოვლად
 სამდვილო ლეონიდემ კუდი დარების გამო
 შესწყვიტა დროებით გურიაში მოგზაურობა.

უსურვებთ მათ მეუფებას დღევანდელ
 სიცოცხლეს ღვთისაგან ბოძებულ ეკლესიისა
 და სამწყსოის საკეთილდღეოთ.

ბლ. მდ. ზ. ცინცაძე.

1901 წელი. 10 ივნისი.

ენის გაჩენა.

რომ გადავავლოთ თვალი ენების განვი-
 თარებას, ცხადათ დავინახავთ ენათა ზედგაე-
 ლენის მაგალითებს, როდესაც ერთი ენა მეო-
 რეს შეხვდება და დაუახლოვდება ყოველ-
 თვის განუვითარებელი და ვიწრო, მარტივი
 ენა განიცდის ხოლმე გავლენას, ეს გავლენა
 იმაში გამოიხატება, რომ განუვითარებელი
 ენა ისესხებს ახალ ცნებებს და მათ გამოსახა-
 ტავად ახალ სიტყვებს. პირველ ხანაში ახალ
 სიტყვებს უცხო ენებიან, მაგრამ საუკუნეების
 შემდეგ ესეთი უცხო სიტყვები შინაურდება
 და ადგილობრივ სიტყვებათ გადაიქცევა. ავი-
 ლოთ მაგალითად ჩვენს ქართულ ენაში შემ-
 დევი სიტყვები; ვახშაში, ქალაქი, კალაში, და
 სინიღისი. ეს სიტყვები დღეს ყველას ნამდვილ
 ქართულ სიტყვებათ მიიჩნია, თუმცა ისტო-
 რიულად რომ გამოვიკვლივთ აღმოჩდება შემ-
 დევი: ვახშაში არის თათრული სიტყვა და აღ-
 ნიშნავს დაღამების დროს საქმელის ქამას;
 ქალაქი არაბულია (KALAK) და აღნიშნავს ქვე-

ბით აშენებულ და გამაგრებულ ადგილს, კლამი და სანიდისი ხომ წმინდა ბერძნული სიტყვებია. ყველა ეს სიტყვები არ იყო ქართულ ენაში და შემოვიდა სხვა ენებიდან სიტყვა „სანიდისა“, რომ ქართულ ენაში არ ყოფილა და ბერძნულიდან შემოვიდა ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ქართველს სინდისი არა ჰქონოდა, ბერძნების გაცნობამდის, სწორედ იმისათვის არა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სულიერი აგებულება ბერძნებს უფრო დაწვრილებით ჰქონდათ გამოკვლეული და შესწავლილი, ვინაიდან საბერძნეთი ფილოსოფიის სამშობლო იყო და იქ მხარე ადამიანის შინაგანის არსებისა, რომელსაც სანიდისი ჰქვია, ბერძნებმა უმაღლესი შენიშნეს და აღნიშნეს სიტყვა სინდისით ცალკე ცნებათ.

როცა ერთ ენაში მეორე ენიდან შემოდის ახალი ცნებები იმათ უეჭველათ ახალი სიტყვებიც თან მოჰყვება, მაგალითად, ასეთი სიტყვები როგორც: სიმკაძი, ტელეგრაფი, ტელეფონი, ფონოგრაფი და სხვა არის შემოსული ქართულ ენაში სხვა ენებიდან მიტომ, რომ ის ცნებები, რომელნიც აღინიშნება ამ სიტყვებით არ იყო ქართულ შეგნებაში, რადგან თვით ეს საგნები არ იყო აქაურ ცხოვრებაში. როგორ მოვიქცეთ ჩვენ ლაპარაკში და როგორ უნდა ვიხმაროთ უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები, ამის შესახებ ორი სხვა და სხვა აზრი გამოგონია ჩვენს სამშობლოში და ორივეს შესახებ მსურს, მკითხველო, ჩემი შეხედულება გამოვსთქვა. ერთი ის აზრია გამოთქმული ¹⁾, რომ სხვა ენებიდან შემოსული ყველა ის სიტყვები, რომელიც კი მოგვეწონება, კარგათ და ცხადათ ხატავს აზრს, უნდა ვიხმაროთ ქართულ ლაპარაკში და მწერლობაში, ასეთი სიტყვების ხმარება ზოგიერთი ჩვენებური სიტყვების მაგიერ არაფერი საწინააღმდეგო არ არისო. მეორე აზრი ისეთია, რომ ყოველი ცნება ჩვენ ქართულათ უნდა გამოვსთქვათო, ესე იგი ის საგნები,

რომელიც ნასესხები გვაქვს სხვისგან და მათი აღმნიშნავი ახალი ცნებები და სიტყვები ჩვენებურათ უნდა ვსთქვათო და ამის მიხედვით გაიგონებთ, რომ სამოვრის მაგიერ ამბობენ თვით მხარშველს, სპიჩკის მაგიერ წუნწუნბას და სხვა. ეს ორი აზრი ჩემი შეხედულებით ორივე შემცდარია და მეცნიერული ნადაგი არც ერთს არა აქვს და საკითხი კი სწორეთ მეცნიერულ ნიადმგზე უნდა გადაწყდეს.

თუ გავიხსენებთ თავიდან რაც ვსთქვი ენის გაჩენის შესახებ და მივიღებთ მხედველობაში ენის წარმოდგომის ისტორიას, ცხადათ დავინახავთ, რომ ენა არის აზრის გამოსახატავი იარაღი, კაცის გონება თხზავს სიტყვას და ამ სიტყვაში იხატება რაიმე ცნება, ასე რომ როცა ადამიანის შეგნებაში ცნება ჩდება იქვე სიტყვაც იბადება, როდესაც ეს ცნება და თან მისი გამოხატავი სიტყვა გადის მეორე ერის ენაში, იქ თუ ეს მცნება ცნობილია და მისი ბადალი ცნება არის უქვევლათ სიტყვაც იქნება და ამიტომ ერთის დავიწყება და მეორეს დატოვება უაზრო მოქმედება იქნება, მაგალითად, როცა ქართული ენა ბერძნულს დაუახლოვდა და გაეცნო, სხვათა შორის სიტყვა „ანტიკაზონ“ გაიგონა ქართველმა, მაგრამ ეს სიტყვა ქართველს არ უსესხნია და თავის ლექსიკონი ამითი არ შეუმოსია, რადგან ამის მაგიერ სიტყვა „კაცი“ ქართველს უკვე ჰქონდა და ამით სარგებლობდა, შემდეგ სხვა ენების გაცნობის დროსაც გაიგო ქართველმა, რომ „Человек“-ი და „Mensch“ აღნიშნავდა კაცს, მაგრამ ამის გამო სიტყვა „კაცი“ არ გამოუცვლია, მხოლოდ როცა ქართველმა გაიგონა ასეთი სიტყვები: კლამი, სანიდისი ტრაგედია, ეს სიტყვები კი ქართველმაც ისე იხმარა, როგორც ბერძენი ხმარობდა, რადგან ის ცნებები, რომელთაც აღნიშნავდა ეს უკანასკნელი სიტყვები ქართველს არა ჰქონია ჩვენის აზრით, ვინც ხაკანს აჩენს, ის სახელსაც არქმევს, ანუ ვინც ტყუპასა ჭქმინს, ის სიტყვასაც აჩენს. თუ ცნება ვისესხეთ სიტყვაც უნდა ვისესხოთ, ასეთი სესხება ახალი ცნებების და სიტყვების სწავლიად არ ავნებს იმ ენას, რომელიც სესხულობს,

¹⁾ შენიშვნა. თუ არ ვცდები „კვალში“ იყო გამოთქმული ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკის დროს უცხო სიტყვების ხმარების შესახებ.

მით უმეტეს, რომ ხანგრძლივი დროს შემდეგ, ეს ნასესხები ცნებები და სიტყვები შინაურ-დება და საკუთრებათ იქცევა¹⁾; ყოველი ახალი ცნების და მათი აღმნიშნავი სიტყვის ხელოვნურად გადაკეთება რაღაც უმზავსოც არის; ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა სთქვას ქართველმა ქართულათ: ელქტრონი, ტელეფონი, გრამოფონი და სხვა ანუ რუსმა ქართული სიტყვები: ჭანჭუხი ანუ ჩუჩხელა²⁾ ჩვენში რომ დაბადებულიყოს ედისონი და ყვენს სამშობლო ენაზე განვითარებულიყოს უმჭველად ჩვენებურ სახელებს დაარქმევდა მისგან აღმოჩენილ ახალ საგნებს და მანქანებს ეხლა კი ამერეკულს არქმევს.

ენა არის ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ერთი ვითარდება და დღითი დღე იცვლება, ისე ენა იზრდება და ფართოვდება. ყოველი ერთი ისტორიულ ცხოვრებაში დროთა ვითარების გამო იცვლის თავის სახეს, მისწრაფებას. ხასიათს და მთელ ფიზიონომიას, ასე რომ ყოველ საუკუნეში თავისი სხვა და სხვა განმასხვავებელი ნიშნები აქვს ერს. აგრეთვე ენაც, როგორც გამომხატველი ერის გონებითი მოძრაობისა, გრძობათა ღელვისა, მისწრაფებისა და სხვა და სხვა მიდრეკილებისა იცვლება. მაგალითად სულ სხვა იყო ქართველი ერთი ქრისტიანობის ხანამდე, სულ სხვა საშუალო საუკუნეებში, და სულ სხვაა დღეს, ეგვე უნდა ითქვას ენის შესახებ. რომ შეკადროთ სხვა და სხვა ხანა ქართული ენის განვითარებისა, ცხადათ დაეინახავთ დიდ განსხვავებას. მეთორმეტე საუკუნეს ქართული ენა დიდათ განირჩევა მეთვრამეტე საუკუნეს ენისაგან, და ეს უკანასკნელი კი დღემდე დღემდე თანამედროვე ენისაგან. ვინაიდან ენა არის გამომხატველი ერის გულის თქმისა, ერის შინაარსისა და მისი გონების ყოველგვარ

მხარეთა მოძრაობისა, ამისათვის ენა არის ცხადი სურათი ენის ფიზიონომიისა და ენის საშუალებით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენს თვალწინ სხვა და სხვა ისტორიული ხანა, თუმცა იმ დროში მცხოვრებნი აღარ არსებობენ და საუკუნოებით არიან მივიწყებულნი. ამის მაგალითებს იძლევიან გენიოსი მწერლები. ავიღოთ თუნდა აი შემდეგი მაგალითი: რუსეთის მწერალთა შორის შესანიშნავს მწერალს და პოეტს ლერმონტოვს სურდა მეცხრამეტე საუკუნეს დასაწყისში ცხადათ დაეხატა რუსეთის მეფის იოანე მრისხანეს დრო, ესე იგი მეთექვსმეტე საუკუნეს ხანა. გენიოსმა ლერმონტოვმა ენის შემწეობით შეასრულა ეს; მან შეისწავლა იმ დროის ნაწერები და ისე შეითვისა კილო მაშინდელი. მწერლობისა, რომ დასტურ იმ კილოთი დასწერა პოემა: „Пѣсня про царя Іоанна Васильевича, молодого опричника и удалого купца Калашникова“³⁾. ეს თხუთმეტე ლერმონტოვისა სრულებით არა ჰგავს სხვა მის ნაწერებს, მიტომ რომ ლერმონტოვი სწერდა მეცხრამეტე საუკუნის ენით და ეს პოემა კი მეთექვსმეტე საუკუნის კილოთია დაწერილი. გარდა იმისა, რომ შინაარსი ამ პოემისა არის ისტორიული და აღვიწერს იოანე მრისხანეს ხასიათს და მისი ამაღის ყოფაქცევას, თვით კილო პოემისა გვიხატავს მოსკოველ რუსთა ცხოვრების სურათს მეთექვსმეტე საუკუნეში, სწორეთ ასეთი კილო ჰქონდა მაშინდელ რუსულ მწერლობას, ამ კილოშია დაცული და შენახული სახე მაშინდელი ერისა და ხასიათი მისი ცხოვრებისა. როგორც კი წაიკითხავთ ოთხ სტრიქონს;

„Ай, ребята, пойте—только гусли стройте!
Ай, ребята, пейте—дѣло разумѣйте!
Ужъ потѣшьте вы добраго боярина
И боярыню его бѣлолицую!“

მიხედვით რომ ეს ძველი დროის პოეზიაა და მთელი შინაარსი და ხასიათი ამ ნაწარმოებისა ხომ კიდევ უფრო ცხად ჰყოფს ამ აზრს. ძველი დროის ლიტერატურული ნაწარმოების შემწეობით აღვიღად შეგვიძლია აღვადგინოთ მთელი ეპოქა და ნათლათ წარმოვიდგინეთ წინანდელი ცხოვრება.

¹⁾ შენიშვნა. ინგლისური ენა თითქმის სულ სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვებია. ავტ.
²⁾ შენიშვნა. ყველა ამ სიტყვების ახსნა რუსულადაც და ქართულათაც აღვიღია, მაგრამ მე ახსნას კი არ ვგულისხმობ, პირდაპირ სახელწოდება მაქვს ხაზეში. ავტ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ენას¹⁾; ენა არის ერის საუნჯე, ენაშია შენახული ერის სიმდიდრე, გონების ნაყოფი, გრძობათა ღელვა, იდეალები, სარწმუნოება, ზნეჩვეულება და ყოველი ნიჭიერება ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც შეიცავს ერის სული და გული თუ გსურთ გაეცნოთ ამა თუ იმ ერს, უნდა პირველ ყოვლისა მისი ენა შეისწავლოთ, შეისწავლოთ; ისე რომ მკაფიოდ და ნათლად წარმოადგინოთ რა შეადგენს განმასხვავებელ ნიშნებს ამა თუ იმ ერისას. ენაში ხომ კარგათ გამოიხატება ყოველი წვრილმანი მოვლენა ერის სულიერი მდგომარეობის. აი ყოველი ეს განმასხვავებელი ნიშნები რომ ერთათ ავკინძოთ წარმოვიდგინოთ ერის სახეს და მის სრულ ფიზიონომიას.

რამდენათ საქირთა ენის ცოდნა²⁾ და ამის საშვალეობით სხვა და სხვა ერის ცხოვრების შესწავლა, იმდენათ ძნელია სავსებით შესწავლა ენებისა და ამიტომ იშვიათია ისეთი კაცი, რომ სამშობლო ენის გარდა ზედმოწევნით ათი ენა იცოდეს. აი სწორეთ ენების შესწავლის სიძნელემ აიძულა ზოგიერთი განათლებული პირი დაფიქრებულიყო ამ საგანზე, ყოველი ღონე ეხმარა და დახმარება აღმოეჩინა კაცობრიობისთვის. ამ სურვილმა გამოიწვია ერთი ფრიად საინტერესო მიმართულება, რომლის შესახებ მსურს მკითხველო რამდენათმე გაგიზიარო ჩემი აზრები, ეს მიმართულებაა — სურვილი საერთაშორისო ენის შედგენისა. ბევრს გაუჩნდა ასეთი სურვილი და ბევრი ეცადა სხვა და სხვა საშვალეობით მოეხერხებია ერთი საერთო და საყოველთაო ენა შეედგინოს ან ახალი, ან ერთი არსებითი ენათაგანი გადაექციოს საერთოთ. ყველაზე უფრო საინტერესოა დოქტორ „ზამენჰოფის“ შექმნილი და ამ 20 წლის წინ გამოქვეყნებული ენა ესპერანტო.

ესპერანტო არის ყველასათვის ადვილათ შესასწავლი ენა და, შედარებით არსებული

¹⁾ საინტერესოა ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი თავ. გიორგი მუხრანსკისადმი მიწერილი ენის მნიშვნელობაზე. იხილეთ წიგნი გაბრიელის საუნჯე ავტ.

²⁾ შენიშვნა. მე ვგულისხმობ სხვადასხვა ენების ცოდნის საქირთებს და სამშობლო ენის ცოდნაზე არც კი ვლაპარაკობ, რადგან ამაზე ლაპარაკი მკითხველის შეუთრაცყოფა იქნება, ვინაიდან ასეთი მხალი ტეშვარიტება რაღა სახსენებელია და დასასაბუთებელი, ავტ.

ენებთან, ძლიერ მარტივი, სულ შეიცავს 2,000 ძირითად სიტყვას და აქვს 16 ადვილათ გასაგები და დასანახსოვრებელი გრამმატიკული მუხლი და რამდენიმე განსაზღვრული კანონი ახალი სიტყვების შესადგენათ¹⁾.

1905 წელს აქეთ ღღემდე უკვე იყო ოთხი კრება ესპერანტების დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში და ამ კრებებზე გამოირკვა, რომ ვისაც კი შეესწავლა უკვე გამოცემული ესპერანტული სახელმძღვანელოები, თავისუფლათ ლაპარაკობდნენ ერთმანეთ შორის; დღეს ევროპაში რამდენიმე ქალაქში არსებობს ესპერანტისტების ბიურო, საიდანაც ესპერანტებს შეუძლიათ მიიღონ სხვა და სხვა ცნობები¹⁾.

ამგვარად არსებობს ხელოვნურად გაჩენილი და შექმნილი ენა „ესპერანტო“ და ღღითი ღღე ვითარდება; ეხლა კითხვა იმაშია, შეიძლება დაარსდეს ქვეყანაზე ერთი საერთო ენა და დაიჭიროს იმან სხვა ენების ალავი თუ არა?

განზრახვა ერთი საერთო ენის დაარსებისა მეტათ კეთილშობილურია და სწორეთ ღღითათ სასარგებლო იქნება კაცობრიობის განვითარებისა და გაერთიანებისათვის, მაგრამ რამდენათაც ეს სურვილი კეთილია, იმდენათ მისი განხორციელება ძნელია. ჩვენის აზრით შეუძლებელია, რომ ქვეყანაზე ოდესმე ერთი საერთო ენა იქნეს და იმან მიიღოს მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც ზევით ვსთქვით, ენა ბუნებრივი მოვლენაა და ენის გაჩენა განვითარებაში უტყუარი კანონები მოქმედებს, ამგვარად გაჩენილი ენა, ესე იგი ყველა ისტორიული ენება, არის ორგანიული ნამუშევარი ერის პირადული და საერთო (საზოგადოებრივი) ნიჭისა და ამიტომ ენაში იხატება მთელი სახე ერისა სავსებით და უკლებლათ. ხელოვნურათ შექმნილი ენა და გარეგნულათ მიცემული მზათ ისე სახმარათ, როგორც რაიმე ნივთი, არ იქნება ნამდვილი ენა, ესე იგი არ იქნება ერის გონებითი მოქმედების გამოხატველი

¹⁾ Н. Кабановъ. Международный языкъ эсперанто. Выпускъ I стр. 18.

¹⁾ Ibidem

ამგვარ ენაზე არ იქნება წარუხეცელი ბეჭედი ერის თვითმოქმედებისა და განვითარებისა, მაშასადამე ეს ენა ველარ გამოხატავს ერის სულსა და გულს და გადიქცევა მხოლოდ სალაპარაკო ნიშნათ ანუ ისეთ ნივთათ, როგორც არის ფული, რომლის შემწეობით ჩვენ ვეწევით ვაჭრობას ანუ ვცვლით ერთმანეთ შორის სხვა და სხვა ნაწარმოებს. ვანა შეიძლება ენა, ეს ცოცხალი ორგანიზმი, ეს ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრების გამოხატველი ძალა ფულს დაუპირდაპიროთ? ფული ობიექტიური ქმნილებაა და ენა კი სუბიექტიურია.

გარდა ამისა დღეს არსებული ენები და დიდი მსოფლიო ლიტერატურა იმტკიცებს, რომ კაცობრიობას თავის ისტორიულ მსვლელობაში დიდი საუნჯე შეუძენია. რომ სხვა და სხვა ენები მოიხსოს, ეს საუნჯე უნდა დაიკარგოს, ვინაიდან ეს სიმდიდრე უსარგებლო განძი იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიც რომ არ მივიღოთ მხეოველობაში, აი რატომ არ შეიძლება საერთო ენა. ბუნებას აქვს დიდი გავლენა ადამიანის განვითარებაზე და ქვეყანა ისეა დაყოფილი ნაწილ ნაწილათ, რომ სულ სხვა და სხვანაირათ ვითარდება ხალხი; ეს სხვა და სხვაობა ენაში იხატება და ამის გამო ერთი ერის ლიტერატურული ნაწარმოების გადათარგმნა მეორე ენაზე არ ხერხდება, მაგალითად, ავიღოთ თუნდა ჩვენი ლიტერატურის შემამკობელი ვეფხვის ტყაოსანი, რამდენი არ ეცადენ ამის გადათარგმნას, მაგრამ არც ერთ ენაზე ვეფხვის ტყაოსანი კარგათ გათარგმნილი არ არის. რატომ? მიტომ რომ გადათარგმნა იმას კი არ ჰქვია, რომ ერთი სიტყვების მაგიერ მეორე ენის სიტყვები იხმარო და აზრი გადასცე მკითხველს. არა! ლიტერატურული ნაწარმოები ისე უნდა გადათარგმნოს, რომ მთელი სული და გული ავტორისა ან იმ ერისა, რომელსაც ეკუთვნის ნათარგმნი თხუზულდება, სავსებით შეაგნებოდ მკითხველს ეს კი არ ხერხდება, მიტომ, რომ ვოველ ერს თავისი სხვა და სხვა განსახვავ-

ბელი ნიშნები აქვს და მეორე ერს ენაში არ აქვს ხოლომე შესაფერი სიტყვები ამ ნიშანთა გამოსახატავად და ხელოვნურათ შექმნა ასეთი სიტყვებისა და მთელი აზრებისა აღმნიშვნა მთარგმნელის ძალასაც და ნიქსაც ქართული თქმულება: „შენ კარგი ფეხისა ხარ“, რომ რუსულათ გადავთარგმნოთ და პირ და პირ ან აზრი გადავიღოთ, უმზგავსობა გამოვა და თუ ამ წინადადებას დაუპირდაპირებთ რუსულ წინადადებას „съ Вашей легкой руки“, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ერთსა და იგივე აზრს ორი ერი სხვა და სხვა ფორმით ხატავს და თუ ერთ ფორმაში ჩავაყენებთ ეს აზრები, მაშინ ორივეს ეკარგება ეროვნული ხასიათი... ხშირად ასეთი შემთხვევაც არის, რომ შესანიშნავი თხუზულება ერთი ერისა ითარგმნება ადვილათ სხვა და სხვა ენებზე მაგალითად ავიღოთ თუნდა შექსპირის თხუზულებები; შექსპირის კალმის ნაწარმოები, სწორეთ, მარგალიტებია მსოფლიო ლიტერატურაში. შექსპირი მართლაც ისეთი მკოდნეა ადამიანის ბუნებისა და ნამეტურ გრძნობათა მოძრაობისა, რომ მისთვის ადამიანის გრძნობა, ეს საიდუმლოება ისე ცხადია, როგორც ნათელი დღე და რადგარ ამ ნაწერებში საზოგადო ქეშმარიტება არის გამოხატული, ამიტომ მათი აზრი და შინაარსი გათარგმნით არ იცვლება, ხოლო როცა ნაწერებს აქვს ეროვნული ხასიათი, მაშინ კი ან არ ხერხდება გადათარგმნა და თუ მოხერხდა, ხასიათი იცვლება. საუკეთესო მკოდნენი *) ებრაული ენისა ამტკიცებენ, რომ სოლომონ ბრძენის ნაწერები ორიგინალში მაგალითად „წიგნი-წიგნთა“ სულ სხვაა და ნათარგმნი სულ

*) შენიშვნა. საუკეთესო მკოდნეთ რომელიმე ენისა ითვლება არა ის, ვინც ლაპარაკობს და სწერს ამა თუ იმ ენაზე, როგორც ეს გვეგონია, საუკეთესო მკოდნე ენისა ეწოდება იმას, ვინც ფიქრობს იმ ენაზე, ვინაიდან ენა აზრის გამოხატულებაა. ქართველი რაც უნდა კარგათ ლაპარაკობდეს და სწერდეს რუსულათ, თუ ქართულად ფიქრობს, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს რუსულის კარგ მკოდნეთ.

სხვაო-ეგრაელსა ოცნება ისეთი მდიდარი იყო სხვა და სხვა გრძობათა გამოხატვაში და ისეთი მოხერხებული, რომ სხვა ეროვნება ვერ შეიძლება ებრაელებს ამ შემთხვევაში.

ყოველ ენას აქვს თავისი სხვა და სხვა თვისებები და ეს განსხვავება დამყარებულია ადგილის სხვა და სხვაობაზე და სანამდის სხვა რა სხვა ბუნებაა ქვეყანაზე და სხვა და სხვა ერი, ერთი ენა შეუძლებელია ისე გაერთიანება ბუნებისა, რომ ჰავის და მდებარეობის განსხვავება მოისპოს არ შეიძლება, აგრეთვე არ შეიძლება ერის ისე გაერთიანება, რომ ყველას ერთი გამოთქმა ერთი ხასიათი ერთი სახე ექნეს. სხვა და სხვაობა აუცილებელი პირობაა პროგრესისა ანუ წინსვლადობისა და სრული გაერთიანება და გაერთიანება კი ნიშანი სულიერი სიკვდილისა, ენამ რომ იარსებოს საჭიროა მისთვის ზრდა და ეს ზრდა კი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ენათა შორის სხვა და სხვაობა იქნება როგორც ერის განვითარება არ შეჩერდება, ისე ენის ზრდა.

ენა არის ეროვნული სიწმიდე, ენა არის სიამაყე ერისა, ენა არის უკვდავი ძეგლი გონებითი მუშაობისა და საუკეთესო სამკაული ადამიანისა. გვიხაროდეს რომ გვაქვს ენა და მისი საშუალებით ვართ ადამიანები გვიყვარდეს და ვაფასებდეთ ჩვენს ენას, მაგრამ ამასთანავე გვიყვარდეს და ვაფასებდეთ სხვის ენასაც. პატივი ვსცეთ ჩვენს ენას, მაგრამ უეჭველათ თანასწორი პატივი ვსცეთ სხვის ენასაც. ამას მოითხოვს მეცნიერება, ადამიანური შეგნება და სინიღისი.

წაღმა-უკუღმა.

მოთხრობა კ. წუთისოფლებლისა.

გარდა ამისა, მან მაგალითებიც ბევრი აჩვენა კოლს. ერთ საღამოს ორი წყნელი მოიტანა შინ, ერთი წვრილი და ნორჩი, მეორე კი მსხვილი და ურჩი, ორივე ერთგვარის ჯიშისა.

მოგრიხა ჯერ პირველი რომელიც ხელში ღვედვით დაჰყვა და მერე მეორეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მას ვერ მოერიდა და ვერც ერთ ადგილზე ვერ გადაზნიქა. „აბა შეხედე, — უთხრა მან კოლს, — ნორჩი რა უცუფათ დამყვა ხელში და მეორეზე ტყულო ჯაფა გაეწიე; ბოვშიც ეგრეა, როცა პატარაა გინდა წაღმართათ გაზდი და გინდა უკუღმართათ და როცა დრო და ჟამი გადუვა, რავაც ეს ჯოხი არ შეიძრიქა, არც მისი მოჩუქულება შეიძლება“, ერთხელ კიდევ კოლის დახმარებით ორი ნერგი დარგო; ერთს სარი დაუსო და ზედ მიაკრა, მეორე ისე დასტოვა და მიუბრუნდა კოლს: „როცა ესენი გეიზდებიან, ნახავ, რომ პირველი სწორა და რიგიანათ გეიზდება, მეორეს კი ხან ზენა დოუწყებს ბერვას, ხან ქვენა და უპატრონოთ შირჩენილი, ისე ოხრათ გეიზდება, რომ მის ადგილზე დატოვებას, მოთხრა ემჯობინება. ბოვშიც ეგრეა, თუ ყურადღება მაქციე და სანამ პატარაა, რიგიანათ მოუარე, სწორა გეიზდება და თუ სარიგით არ ამოუდექი გვერდში გეიზდება მრუდეთ და უხეიროთო“.

ქმრის ასეთი დარიგება—მაგალითები არ დარჩენილა ხმად მლაღადებელისად უდაბნოსა შინა. კოლს ქმრის სიტყვები არც ერთი უყურადღებოთ არ დარჩენია და მან თავისი დიხა გარდაიხადა. დიდ შრომათ, თმენათ და გაკარვებათ დაუჯდა მას შვილის პირველი გაზდა, მაგრამ იმ სამხიარტულო მოლოდინით, რომ მას კარგი შვილი გაეზდებოდა, ყოველი სფერი მოითმინა და როცა ბოვში გვარიანათ წამოიზარდა, ერთ საღამოს, სიცილ-ხუმრობით მიმართა ქმარს: „შენ ყოველთვის იმას მაყვედრიდი:—კარქათ გამიზარდე ჩემი იოღაო — რაც შემძლო, ხელი არ დამიკლია და აწი შენთვის მომიციაო“, უთხრა და შვილი მამას კალთაში ჩაუგორა, მამამ დინჯად ჩაიციინა და გამოართვა ბავში.

ამის შემდეგ მამა შვილს ისე უფლიდა, როგორც თვლის ჩინს; მას არ მისცემია შემშემთხვევა, რითიმე ისე გართულიყო, რომ

შვილის ყოფაქცევაზე ყურადღება არ მიექცა. თამაშობას არ უშლიდა, მაგრამ საზღვარსაც უღებდა; დიდი ხნის თამაშობის ნებას არ აძლევდა და უფრო საქმიანობას აჩვენებდა; აკეთებდა, რისი გაკეთებაც იმას შეეძლო და არ ღალავდა. თავის დღეში ნებას არ აძლევდა, რომ უხასიათო ბიჭებთან რამე კავშირი დაეკირა: „ერთი დამბალი ვაშლი ას ვაშლს დააღობსო“, იტყუდა ხოლმე ის. სამაგიეროთ ზოგიერთ ბიჭებთან თვითონ ამხანაგებდა და როგორც იმათ სახლში სიარულს, არც მათი თავის სახლში მოყვანას არ უშლიდა. ღმათ-ღამობით ხშირად პატარ-პატარა ზღაპრებს ეუბნებოდა და მასაც ათქვევინებდა, დაწოლის წინ, უთუოდ ავალბდა, რომ პირჯვარი დაეწერა, მაგრამ ამის მარტო დავალებაზე არ ამყარებდა, ამ დროს მშობლებიც იწვრდენ პირჯვარს და რასაც ჰხედავდა ბავშვი, იმას ბეჯითად იმეორებდა... გაიზარდა პატარა იოდა და ჩინებულ ბავშვად გამოდგა. მშობლებს ძალიან ახარებდა შვილის ყოფაქცევა და მშობლებს კი ეხარებოდათ. „ღმერთს ერთი შვილის მეტი არ მოუყია ჩემთვის, მაგრამ ვმადლობ მის მოწყალებას, რაც მყავს კარგი მყავს, უვარგის ათს ეს ერთი მიჩქნია; სადაც ღვთის ნებაა იქ ერთი ასია და ასი ერთია“, იტყუდა ხშირად თავისთვის გახარებული მამა. როცა იოდა ათი წლის შეიქმნა, მამამ მის მომავალზედაც დაიწყო ზრუნვა. ის ბევრს ჰფიქრობდა შვილის გაზრდისთვის, მაგრამ დაბრკოლებას ჯერ ერთი მის სიღარიბეში ჰხედავდა და მეორეთ, ეს დრო ის დრო იყო, როცა გლეხ-კაცს შვილის გაზრდაზე არც კი ფიქრებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ. მან გადასწყვიტა: შვილი ვინმე მოხელე კაცისთვის მიეცა შეგირდათ, მაგრამ ამასაც ჯერ კიდევ ნაადრევად ხედავდა. „თუთხმეტ წლამდე არსათ გოუშობ, ვინ იცის ბიჭებთან რაღა გამეიცვლის ხასიათსო“, ჰფიქრობდა ის და ჯერ-ჯერობით წერა-კითხვის სასწავლებლად მიიბარა სოფლის ხუცესს. ადვილი მისახვედრია თუ რაწაირ წერა-კითხვის ასწავლიდა იოდას მაშინდელი ხუცესი... თავდაპირველად ახალ

შეგირდს ნაფლეთ ქალაღზე დაწერილი ანბანი მისცეს ხელში და დაუწყეს ზეპირობა: ან—ბან—გან... და როცა, დიდის ტანჯვით, ან—ბანი წაღმა გააზვირა, უკუღმიდან დააწყებია და ამ სახით, ან—ბანის შესწავლას მთელი ორი—სამი თვე მოუწდა იოდა. მაგრამ მასწავლებელი მაინც ნიკიერ შეგირდად სთვლიდა და მამასაც გულს უხარებდა, რომ მისი შვილი მეტად დიდი ნიქისა გამოდგა: „რასაც სხვა ხუთ-ექვს თვეს სწავლობს, ის შენმა შვილმა ორ—სამ თვეს დღისწავლაო“, ეუბნებოდა მღვდელი გახარებულ მიქელიას. ანბანის შეერთებაც მაშინდელი ტენიკით დააწყებია ოსტატმა შეგირდს, რის გამო სახელმძღვანელოც გამოუცვალა. ახლა სხვა ნაგლეჯ ქალაღზე დაუწერა გადაბმული ასოები და, როგორც პირველად, მისცა ხელში მოკეცილი ბატის ფრთა ან-ბანების საჩვენებლად და გაუკვეთა: — ბა—ბე—ბი—ბო—ბუ—ბია, გა—გე—გი—გო—გუ—გია... სწავლაც იყო და სწავლაც, მაგრამ უფრო კი ხუცესი იოდას ოჯახში იხმარიებდა და ზედმეტ კითხვის ნებას არ აძლევდა, რომ ვინცოდა მომეტებული სწავლით კუდიდან არ გადასულიყო, ან არ დაქლექებულიყო შეგირდი. ამ ყოფთ იოდამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ან—ბანების შეერთება ისწავლა და ისიც უფრო საკუთარი ნიქიერებით, ვიდრე მასწავლებლის ხელმძღვანელობით. სამაგიეროთ, ძველი მღვდლის ოჯახში სიარულს უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია იოდასათვის. რაც ზნეობრივ გაკვეთილებს მამა ზვირა ასწავლიდა, მღვდლის ოჯახში ის ცხოვრებაში ნახა. ის მუდამ მშვიდსა და მყუდრო ცხოვრებას უყურობდა... ზოგიერთი ისტორიული მოთხრობები, საღმრთო სჯულიდან ზღაპრულად ისწავლა და ღვთის შიშიც ბეჯითად ჩაენერგა გულში. ამასობაში ის კარგადაც მომწოდდა და მშობლებმაც დაკარგეს ყოველგვარი შიში მისი ყოფაქცევის გამოცვლის შესახებ. ახლა კი მიქელის მიხოვნელებიც გაუზვირდა. რადარა ხელობის კაცი იოდას არ თხოულობდა? ჯამაგარსაც თავიდანვე ჰპირებოდნენ და ხე-

ლობის ბეჯითად დასწავლეს. მაგრამ მამა ყველას ცივი უარით ისტუმრებდა: „ერთია და,—ამბობდა ის,—სოფლის დუქნებში და პატარა ქალაქებში შვილს იერ მივცემ, ბოვში გაფუჭდება და ხერი იქიდან არაფელი გამოვია; მეორეთაა და იოდის საალო კაცი მე თვითონ კარკათ უნდა გვიცნო, ისე ვერ ჩოუგდებ ბოვს ხელში, ვინ იცის, რა ჯურის კაცი არა ყავს ღმერთს? იქნება თითონაა უხასიათო, იქნება ბიჭები იყოლა გაფუჭებული; ერთი შვილის პატრონი ვარ და ღვთით იმდენი არაფელი მიჭირს, რომ ისიც ალაღ-პეღზე არ გოუშოვო“, მტკიცედ იმეორებდა მიქელია. რასაც ამბობდა, ის კიდევ შეასრულა. მან ერთი ნათესავის საშუალებით მოუძებნა შვილს სასურველი ადგილი ქ. ქუთაისში; ოთხი თუ ხუთი დღე თითონ დაჰყო შვილის მომავალ „ხაზინ“ კაცთან და, როცა დარწუნდა, რომ ის მეტის-მეტე პატიოსანი კაცი იყო, სრულიად შეუვაკრებლად და პირობების წინდაუდებლად მიაბარა შვილი.

(შემდეგი იქნება).

კვირიდამ კვირობამდე.

ის ხმები, რომ ვითომ სამღვდლო ეკზამენები თბილისის სემინარიაში გადაიტანესო, ტყუილი გამოდგა. როგორც გავიგეთ სარწმუნო წყაროებიდან, ასეთი განკარგულება ჯერ არა თუ მოუხდენიათ, არც უფიქრიათ.

ყოვლად სამღვდლო ლეონიდემ ავღრების გამო შესწყვიტა დროებით გურიაში მოგზაურობა და ამ ზაფხულობით თავის საწინამძღვრო მარტვილის მონასტერში დაბინავდა. ამბობენ, განძრახვა აქვს მის მეუფებას, იენისის დამღვეიდან ახლო-მახლო ეკლესიები დაათვალიეროსო.

გელათის მონასტრის მღვდელმონოზენები ილარიონი და დოდო სატუსალოდგან განა

თავისუფლეს ორი ათასი მანეთის ამანათის დადებით.

მაღალყოვლადუსამღვდლოესი ექსარხოსი ინოკენტი საზაფხულოთ სოჩაში წაბძანებულა.

ყოვლადსამღვდლო გიორგი ამ თვის დამღვეიდან ზაფხულს ბორჯომში გაატარებს

სამღვდლოების კრედიტი ჯერ არ გახსნილა. სამღვდლოება ბლომად ჩამოდის ქუთაისში ჯამაგირისთვის და ხელ-ცარიელი ბრუნდება უკან.

რედაქციამ მიიღო ახალი აღთქმა ქართულ ენაზე შედგენილი არქიმანდრიტნესტორისაგან. წიგნი სრულია, სუფთად გამოცემული და, შეგვიძლია ვსთქვათ, საუკეთესო ამგვარ გამოცემათა შორის. ფასიც იაფი ადევს. სულ 40 კ. ურიგო არ იქნება ეს წიგნი ფართოთ მოყვინებოდეს ხალხში, რაც ადგილი შესამღებელია ეკლესიების საშუალებით.

რედაქციამ მიიღო ზღ. ლ. ი. მარგიანისაგან და მღვდ. მიხ. სხირტლაძისაგან სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის სასარგებლოთ 6 მანეთი რაც, გადასცა დანიშნულებისამებრ.

ყოვლადსამღვდლო გიორგიმ არწმუნა მღვდ. სიმონ მკედლიძეს ძმობის სახელზე ნებაყოფილობითი შეწირულება მიიღოს და გვადოს შექმნას თანხა უფასოთ დასარიგებელ სახალხო წიგნებს გამოცემისათვის ასეთი შეწირულება ამის შემდეგ მიიღება თურ. „ზინაურ საქმეების“ რედაქციაში და ყოველ შეწირულებაზე თავთავის დროზე ეუწყება საზოგადოებას.



წერილი რაჭიდან.*)

ასრულებენ თუ არა მღვდლები თავის მოვალეობას?

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბევრ ნასწავლსა და უსწავლილს შეურყია სარწმუნოება. ისედაც უვიცი გლეხი კიდევ უფრო დაეცა. როგორც ზნეობრივად, ისე სარწმუნოების მხრივ, ზოგიერთ ახალ მოძღვრების მქადაგებლების მოწყალებით. 1905 და 1906 წლებში ზოგიერთი ვაჟბატონები დაძრწოდნენ სოფლებში და სცდილობდნენ ხალხის წმიდა სარწმუნოებრივი გრძნობების შელახვას, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში პართლაც ახწევდნენ. ჩაჰქრა მოძრაობა, გაჰქრნენ მქადაგებლებიც, მხოლოდ არ გამქრალა აზრს მოკლებული ცრუ შეხედულება სარწმუნოებაზე, რომელიც ვითომდა ხალხის კეთილი ღვთისთვის მზრუნველობა სოფლელებს სამახსოვროდ დაუტოვეს. გაუფითარებელმა გლეხმა ასეთი ცუდი აზრებიც რომ დაურთო თავის ისედაც არა მკვიდრ რწმენას, სულ დაჰკარგა სულიერი ცხოვრების სიმდიდრე. ეხზარებოდნენ თუ არა მაშინ, ან აძლევდნენ თუ არა გლეხებს სულიერ საზრდოს მღვდელნი, როდესაც მათი დახმარება ძლიერ საჭირო იყო სამწყსოსთვის? თამამად შემოძლია ვსთქვა ვერც მაშინ ეხზარებოდნენ და იხლაც უყურადღებოდ სტოვებენ. ჩვენებური გლეხი შედის ეკლესიაში და არ იცის რას წარმოადგენს ეკლესია; ლოცულობს ხატებზე, ევიდრება ღმერთს და რომ ჰკითხოთ რისთვის არის ხატი ეკლესიაში დაწმუნებული ბრძანდებოდეთ სწორ პასუხს ვერ მიიღებთ, გლეხს აქვს არა ნამდვილი წარმოდგენა ღმერთზე. ის უცქერის ღმერთს, მარტო როგორც ქვეყნიერების შემოქმედს, და ვერ ჰხედავს მასში მამობრივ სიყვარულს; უცქერის მას როგორც მკაცრ მსაჯულს და მეტი არასფერი. გლეხმა არ იცის მღვდელმოქმედების საჭიროება, ის ზიარობს

* ეს წერილი ვრის კაკის კალამს ეკუთვნის და ამიტომ სიამოვნებით ვბეჭდავთ.

რედ.

ზიარებისთვის ანდა ჩვეულების შესასრულებლად და არ იცისა თუ რისთვის და ან ვისგან არის იგი დაწესებული, რომ ჰკითხოთ გლეხს თუ რა უფრო საჭიროა და აუცილებელი სულის ცხოვნებისთვის ის მოგიგებსთ „მიცვალებულისთვის მარტო ცხვრის დაკვლა და საკურთხის მომზადება“! (აი სულიერნი მამანო, ამას თქვენაც ჰხედავთ, თქვენი ნათელი თვალთ, მაგრამ იმდენად გულ გრილი ბძანდებით, რომ თქვენ გულს არც კი ხვდება ასეთი ცუდი მოვლენები სოფლის ცხოვრებიდან. ამ ჩემი მოკლე წერილით მე მსურს მოგაგონო; სულიერნი მამანო, თქვენი დიდი მოვალეობა; მღვდელი არის ხალხის სულიერი მამა ნამდვილი სიტყვის მნიშვნელობით და უნდა სცდილობდეთ მის (ხალხის) სულიერ აღორძინებას—ამაღლებას. ყოველივე ეს შესაძლოა არა მარტო წირვა ლოცვით და სხვა მღვდელთ მოქმედების შესრულებით, არამედ საღვთო წერილზე მუსიკით და ეკლესიაში ქადაგებით. წარმოდგენილი მაქვს თუ რა დიდი გრძნობით და გულ დასმით მოისმენს ხალხი წირვა ლოცვის ქადაგების მოლოდინში! როგორ ჩამოეცლება მის (გლეხის) თვალებს ბური და როგორ განუსხტეკადება მსოფლ მხედველობა საერთოდ და რწმენა კერძოდ. ამ თემაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც იწერება მაგრამ, საუბედუროდ მღვდლები ამისთანა ნაწერებს ყურადღების ღირსათაც არა ხდიან. ჩვენს მხარეში ბევრი ვიცი სემენარიელი მღვდლები მაგრამ სოფლის საუბედუროდ ვერც იმათ გაამართლეს სამწყსო იმეღები; არ ასრულებენ მღვდლის, დიად მოვალეობას და ეს ყოველივე მისთვის, რომ ჩვენებური ნასწავლი მღვდლები საშინლად არიან დაზარმაცებული. არ ვეხები მოხუც უსწავლელ მღვდლებს, რადგან „ვისაც მეტი აქვს მინიჭებული მისგან მეტი მოითხოვება“ ჩვენებური მღვდელს მუდამ აქვს იმდენი დრო, ყოველ კვირისთვის ქადაგება შეამზადოს, ორ კვირაში ერთხელ მაინც რომ იქადაგოს ისიც კარგია; თითო ქადაგების თქმა არ წაართმევს მღვდელს ნახევარ ან ერთ საათზე მეტ დროს და ნუ თუ საყვარელი სამწყსოს კეთილ დღე.

ობას ოცდა ოთხი ან ორმოცი საათი არ უნდა შესწიროს მღვდელმა მთელი წლის განმავლობაში?

მღვდლები ემდურებიან ბედს ხალხს არ უყვარვართო და არაფრად გვაგდებენო, ან კი როგორ შეუყვარდება ხალხს მღვდელი როდესაც მას კაი სადილს და წითელი ღვინის მოლოდინში ქადაგებაზე წარმოადგენს კი ეხშობა არაფერს ურჩევს გლეხს თუ პატივცემას არ ელის. სულიერნო მამანო! ძლიერ შესცდებით იმ შემთხვევაში თუ ხალხის ასეთი მოქმედების მიზეზი თქვენს გარეშე იქნება. ხალხს უყვარს ისეთი მღვდელი რომელიც მას უქადაგებს და რჩევით ეხმარება. ამისდა მიხედვით მოგმართავთ თქვენ, სულიერნო მამანო, მიჰყოთ ხელი ქადაგებას, აირჩიოთ თემათ ჯერ პირველ დაწყებითი სარწმუნოებრივ სწავლაზე საუბარი და მერე თანდა თანობით აუხსნათ გლეხს კაცის ცხოვრების შინაარსი, მისი მიზანი (ღმერთთან შეერთება), საღმრთო წერილი, საეკლესიო ისტორია, მღვდელ-მოქმედების მნიშვნელობა დასხვადასხვა. მხოლოდ რასაკვირველია, მხედველობაში მისაღება უბრალო და გარკვეული-მკაფიო ენა რაზედაც არავის დარიგება არ სჭირდება.

ზნეობრივთაც დაბალ საფეხურზე დგას ხალხი. მასში ფესვებ გასხმულია ლოთობა, ცრუ შორწმუნეობა, გარყვნილება და სხვაც ეფერი დასაძმობი ჩვეულებები. სამწყსოს ზნეობრივთ წამოყენებაც მღვდლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, რასაც შეგვიძლია მივახსნიოთ მღვდლის კარგი მაგალითით და მხოლოდ ქადაგებით. მოეხმარეთ გლეხს, სულიერნო მამანო, დაამკვიდრეთ მისი რწმენა მაგარ ნადავზე, გაუფართოვეთ მსოფლ-მხედველობა, ჩამოაცალეთ მისთვალეებს ბადე და აღაორძინეთ იგი ზნეობრივთ!

ანთიმოზ მაისურაძე



წერილი რედ. მიმართ.

მ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

შინაური საქმეების მე 20, ნომერში მოთავსებულია წერილი ს. ნიგოზეთიდან ვინცხა ღვინიაშვილისა. იგი იხსენიებს თავის წერილში სვერის საბლადოჩინო ოლქის სამღვდლოების კრებას, რომელზედაც უნდა აერჩიათ თვის შორის ბლადოჩინისათვის თანაშემწე. სამღვდლოებამ დაასახელა ორი კანდიდატიო მ. მ. ლ—ძე და გ—ლი, რომელთაგან ერთ ერთი უნდა გათეთრებულიყო. მაგრამ ერთს მეორე გაუთეთრებია და მეორეს პირველისათვის შავი კენჭი მიუკვლევიანო. ამაზედვე იმომეებს დამსწრე სამღვდლოების ნაწილს.

შემდეგ ამისა კი დარიგებას იძლევა, როგორ უნდა მოიქცეს ზნეობრივთ ყოველი სამღვდლო პირი ცხოვრებაში.

ვერ წარმომიდგენია, როდესაც ბ. ღვინიაშვილი ამ ამბავს წერდა, რად მოათავსა წერილში ისეთი რამ, რის დამტკიცება მას არ შეუძლია და სამღვდლოების მოწმობაც მისთვის გამოსადეგი არ იქნება?

სვერის საბლადოჩინო ოლქის სამღვდლოების კრება მოხდა წასრული წლის დეკემბრის თვეში. დაგვასახელეს კანდიდატებათ მე და მ. ლ—ძე. დაგვიდგეს ყუთი და გვიყარეს კენჭი. სამღვდლოებიდან ორივე კანდიდატებს ამოგვივიდა ორ-ორი შავი კენჭი. თუ ვინ მომცა შავი მე არ გამომიძევიან და ან რა საკითხავი და გასამხელი იყო. ყველას თავის შეხედულება აქვს კაცზე და თავის ნებაზე მოქმედებს. ბ. ღვინიაშვილი კი ბძანებას „რომ ერთს მეორე გაუთეთრებია და მეორეს პირველისათვის შავი კენჭი მიუკვლევიანო“. ვერ გამიგია საიდან გაიგო ღვინიაშვილმა, რომ პირველმა მეორე გაათეთრა და მეორემ პირველი გააშავა? იქნებ ყუთ ქვეშ იყო რამე მანქანებით მოთავსებული და იქიდან გვიცქერდა? მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია

და სხვა დამამტკიცებელი საბუთი მას პარაფერი გააჩნია. თუ მას ასე აინტერესებდა ის გარემოება თუ როგორი კენჭი მიუკვლიე ჩემს ამხანაგს ჩემთვის ეკითხა, თუ დაიჯერებდა მე უფრო სწორს არ ვეტყვოდი? მაგრამ, თუ პირველს დაუჯერა, რა ნება ქონდა მეორესაც არ ნდობოდა? ასე რომ მოქცეულიყო აღარ დაქირდებოდა სათუოდ წერილის წერა და ტყუილათ დროს დაკარგვა.

დასასრულთ სასურველი იყო რომ ლენია-შვილს თავის სწორი სახელი მოეწერა წყრალზე, რათა მისგან გადაგვეღო კრძალების, სიმდაბლის და სინანულის მაგალითები, რაზედაც თავის წერილში ასე გაბედულათ ლაპარაკობს. მაგრამ ვშიშობ, რომ სხვის თვალში ბეწვის მაძებარს, თვითონ დვირე არ აღმოაჩნდეს.

მღ ბ. გ — ლი.

განცხადება.

„ზინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წიგნი წიგნთა, ფასი — — 5 კაპ.
 - 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
 - 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
 - 4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
 - 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გაელენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — 10 კაპ.
 - 6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ.
 - 7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.
- ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.

ვაგზალებ სამღვდელთა & საღიაკონთ საგნებში,

აგრეთვე სამასწავლებლო
გეგმების ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17

ОБЪЯВЛЕНИЕ.

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО-
ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ
А. И. ЖИРЯКОВА

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-
ную живопись всякой художественной
работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ
преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей
монастырей и соборовъ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ ვახდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

